

თავისუფალი საქართველო

№ 28

5 - 11 დეკემბერი

1995 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER

TAVISUPALI SAKARTVELO

(FREE GEORGIA)

ახალი სუთნალების ფურცლები

არჩევნების შემდეგ შევარდნაძის ლექსიკაში ნაცვლად ცნობილი ფორმულისა - "აფხაზეთის ომის ღირსეულად დამთავრება", გაჩნდა ახალი ცნება - "აფხაზეთის პრობლემის ღირსეულად მოგვარება"... წინ ახალი ხიფათიანი ხუთწლელი გველის.

დეკემბრის პირველ რიცხვებში კი საქართველოს თავდაცვის კოლეგია აფხაზეთში დისლოცირებულ რუსეთის ჯარებს გაუფართოვა მანდატი: ამიერიდან მშვიდობის მისიონერები ენგურს მიღმა პოლიციის ფუნქციასაც შეასრულებენ. ცხადია, ამ ნაბიჯს, როგორც ყოველთვის, თან ახლავს დამაჯერებელი, პოლიტიკურად მომგებიანი არგუმენტი - რუსებმა უნდა უზრუნველყონ ლტოლვილებს უსაფრთხო დაბრუნება - და, აბა, ვინ გაბედავს ამ ეპოქალურ ნაბიჯს რაიმე დაუპირისპიროს.

თავისთავად იმაში, რომ რუსეთის ჯარს საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოს შინაგანი სტრუქტურის ფუნქცია ეკისრება, გასაკვირი არაფერია: ღიაზე, რუსი აქ თავის სახლშია და ეს დამოწმებულია სხვადასხვა დონეზე ხელმოწერილი არაერთი ორმხრივი დოკუმენტით. საგულისხმო ამ ფაქტში ისაა, რომ ასეთი პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხები უკვე აღარ საჭიროებს აღარც დებატებს, აღარც პარლამენტის დასტურს. გარიგება უწყებრივ დონეზე მიიწვევა და, როგორც ჩანს, ამიერიდან სწორედ ეს გახდება "აფხაზეთის პრობლემის ღირსეულად მოგვარების მექანიზმი".

ჩვენი და მათი ერთიანობის კიდევ ერთი სიმბოლოა საერთო ფსიქოლოგიური კლიმატი და ამას ყველაზე უკეთ ააშკარავებს საარჩევნო ციებ-ცხელების იდენტურობა თანამებრძოლის მთელ სივრცეზე: პოლიტიკურ პარტიათა არ-

ახალი სიმრავლე ელექტორატის სრული ინდივიდუალიზაციის ფონზე.

თბილისური საარჩევნო შოუს შემდეგ, რუსეთში უმაღლესი საფრთხე იმისა, რომ რიგი პროდემოკრატიული ძალები

ომრჩეველთა 60 პროცენტი, არჩევნები ჩაიშალა და ხალხის განმეორებით მისაყვანად ლუკაშენკოს დასჭირდა მუქარა, რომ იგი საპრეზიდენტო მმართველობას გამოაცხადებს. თუმცა არ გამოიცხადებენ,

რომ ერთდროს ნანატრი მრავალპარტიულობა მმართველი კლანის ხელში დღეს საზოგადოებრივი ინტერესების სასურველ კალაპოტში მოქცევის კიდევ ერთ მექანიზმად იქცა. მექანიზმად, რო-

ის მას, რომ არჩევითობა საერთოდ კარგავს აზრს. ამიტომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ ვინ გავიდოდა ამ არჩევნებში, უფრო სწორად, ვის მიანდობდა სისტემა ამ და უახლოესი მომავლის ეტაპზე მმართველობის პოლიტიკური ფასადი შექმნას.

შედეგებიდან გამომდინარე, სასიხარულო არაფერია, თუმცა ვითარება არცთუ ისე უიმედოა. პირველი ფაქტორია ის, რომ ძირითადად გავიდა კომუნისტთა ძველი გვარდა - არსებითად მუმიების კლანი. ამდენად, ამ პოლიტიკური ეტაპის კვლევის სიმბოლო სახეზეა. მეორე კი, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა გვეჩვენოს, არის ედა-ს მოხვედრა პერსპექტიულ შემადგენლობაში. ეს ნიშნავს, რომ სისტემა არ აპირებს, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს პერიოდში, სახელმწიფოებრიობის ფორმალური ნიშნების მოსპობას და ერთგული იდეალებით სპეკულირების ეტაპზე ჯერ კიდევ წინაა. და ეს არცთუ ისე ცუდია თუნდაც იმიტომ, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალთა განლაგების სპექტრში უკვე გათავისუფლებულია ერთი ნიშა ერთგულ-სახელმწიფოებრივი იდეისთვის. მაშასადამე, ეს იდეა ჯერ კიდევ ქმნის საფრთხეს და სისტემა ცდილობს ბოლომდე დაისაკუთროს იგი.

ანა ჭავჭავაძე

პოლიტიკური ელიტის მიღმა აღმოჩნდებიან და აყვირდნენ საარჩევნო კვლის შემცირებაზე. მეორე მხრივ, იქაც მთავარ პრობლემად რჩება ამომრჩეველთა პასიურობა. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ, სოციოლოგიური გამოკვლევების თანახმად, 17 დეკემბრის არჩევნებში მონაწილეობას აპირებს ახალგაზრდობის მხოლოდ 9 პროცენტი. ამიტომ, უკვე გაჩნდა ავანგარდული ინიციატივები, მაგალითად, დაწესდეს საარჩევნო ლატარეა, რომელშიც საარჩევნო ოქლის უბნისა და ამომრჩეველის სიითი წილის მიხედვით გათამაშდება ძვირად ღირებულ პრიზები.

რომ სინამდვილეში ამანაც არ გაჭრა და ხელახალი არჩევნების მონაცემები მნიშვნელოვნად გაზრდილია. ერთი რამ უდავოა: ხალხი მიხვდა, რომ ყველაფერი ძველი სისტემისკენ მიდის, როდესაც ხელისუფლება მისი ჩარევის გარეშეც იმარჯვებს და მისი ნებართვის გარეშე წყვეტს ყველაფერს. ამიტომ მანაც დაიბრუნა ძველი იმუნტეტი - პასიური წინააღმდეგობა აქტიური არმონაწილეობით.

მედიც მოწოდებულია შექმნას, ერთი მხრივ, ამომრჩეველთა კუთხურ-მუნიციპალურ-ნათესაური ენოზიზაში, მეორე მხრივ კი - კომიკურ აბსურდამდე დაიყვანოს თავად ალტერნატივის მოთხოვნა. დანარჩენი უკვე სხვადასხვა დონის სახელისუფლებო სტრუქტურების ეფექტურ მუშაობაზე დამოკიდებული - ვინ, სად და როგორ შეძლებს უზრუნველყოს არჩევნებში მმართველი კლანის ავანგარდული როლი.

ამდენად, იქნება ახალი თეომატოვადი მექანიზმი, რომელიც, განვითარებული სოციალიზმის ეპოქისგან განსხვავებით, არ გამოიცხადებს ალტერნატივას, მაგრამ იმდენად ფორმალურს ხდ-

ბელორუსიაში არ გამოცხადდა ამ

საქართველოს მაგალითი ადასტურ-

არჩევნები არ ჩატარებულა

საქართველოს ჰელსინკის კავშირის მიმართვა
1995 წლის 5 ნოემბერს საქართველოში ჩატარებული არჩევნების შესახებ

1995 წლის 5 ნოემბერს საქართველოში გახორციელდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის არჩევნების გზით ლეგიტიმაციის მორიგი მცდელობა, რომლის ერთადერთი მიზანი იყო საქართველოში იარაღის ძალით დამკვიდრებული მმართველობის განმტკიცება და მისი დანაშაულებრივი პოლიტიკის დაკანონება.

საქართველოს ჰელსინკის კავშირი, არ ცნობს რა ამჟამად ქვეყანაში არსებული მმართველობისა და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას, მოუწოდებდა საქართველოს მთელ მოსახლეობას - ბოიკოტს გამოეცხადონ ხუნტის არჩევნებს, არ მიიღონ მონაწილეობა ამ პოლიტიკურ სპექტაკლში.

ამასთან, ჰელსინკის კავშირი აღნიშნავს, რომ კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა ერთი ნაწილის არჩევნებში მონაწილეობამ საზოგადოების გარკვეულ ნაწილში შექმნა ყალბი, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ილუზია, რომ შესაძლებელია არჩევნების გზით არსებული ანტიდემოკრატიული, საოკუპაციო რეჟიმის დამარცხება, ან თუნდაც მისი საპირისპირო მძლავრი საპარლამენტო ოპოზიციის შექმნა. არჩევნების დროს მმართველი ორგანოების უშუალო მითითებითა და მონაწილეობით დაშვებულმა მასობრივმა და უხეშმა დარღვევებმა დაადასტურა, რომ ეს სატყუარა მიზნად ისახავდა ხალხის მიყვანას საარჩევნო უბნებში და ბოიკოტის ჩაშლას.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ არჩევნებში მონაწილე ამ ორგანიზაციებმა ვერ, ან არ შექმნეს დარღვევათა დაფიქსირების, თავიანთ ამომრჩეველთა ნების დამცველი მექანიზმი, რთაც, ფაქტობრივად, მოატყუეს მათ მიმდობილი ამომრჩეველი.

ამასთან, რიგმა პოლიტიკურმა ძალებმა, რო-

მედიც სიტყვით ემხრობოდნენ ბოიკოტის პოზიციას, რეალურად არაფერი მოიმიქმედეს ამ იდეის პრაქტიკული განხორციელებისა და არჩევნების ანტიდემოკრატიულობის მაჩვენებელი მექანიზმის შექმნისად. პირიქით, სწორედ არჩევნების წინა პერიოდში ისინი თავიანთი დესტრუქციული ქმედებით შეეცადნენ განხეუქილებს შეტანას ბოიკოტის მომხრე ძალებში, კერძოდ, ჰელსინკის კავშირის გახლეჩას ამავე სახელწოდების პარალელური ორგანიზაციის შექმნის, მის აქტიურ წევრებზე მაკომპრომიტირებელი დეზინფორმაციის გავრცელების გზით; თავიანთი ორგანიზაციების წევრებს რეგონებში მოუწოდებდნენ არ ეთანაშრომლათ ჰელსინკის კავშირთან და სახლებში მსხდარიყვნენ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სინამდვილეში მათი მიზანი შემოიფარგლებოდა არჩევნების პასიური, დეკლარირებული ბოიკოტით და ემსახურებოდა აქტიური ბოიკოტის მომხრე ძალების ბლოკირებას.

მიუხედავად ამ სიმწელებისა, საქართველოს ჰელსინკის კავშირმა, მისი კურსის ერთგულმა რეგონალურმა ორგანიზაციებმა და ცალკეულმა წევრებმა საქართველოს მოსახლეობის წინაშე გალა და იღეს, შესაძლებლობის ფარგლებში, განხორციელებინათ ყველა სამართლებრივი ღონისძიებები ბოიკოტის

და საარჩევნო დარღვევების აღწესებისთვის. ყველა იმ რეგიონში, სადაც მოქმედებს ჰელსინკის კავშირის ორგანიზაციები, ან მხარდამჭერთა ჯგუფები, შექმნილი იქნა შესაბამისი მაკონტროლებელი მექანიზმი, რის შედეგადაც, მოპოვებულია ვრცელი ინფორმაცია დარღვევებისა და უკანონო ქმედებების შესახებ. ეს ანგარიში მოიცავს როგორც წინასაარჩევნო პერიოდის, ისე თავად არჩევნებზე მომხდარ მასობრივ ფალსიფიკაციებსა და არჩევნების შემდგომ კანონდარღვევებს, რომლებიც დაშვებული იქნა სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების, დეპუტატებისა და პრეზიდენტობის კანდიდატების მიმართ, განურჩევლად მათი პოლიტიკური ორიენტაციისა.

ჩვენს მიერ დადგენილი მრავალი ფაქტი - ამომრჩეველთა სიებით მანიპულირების; საჭიროების მიხედვით ამომრჩეველთა რაოდენობის ხელისუფლებით გაზრდის გარდაცვლილი და არასრულწლოვანი მოქალაქეების ხარჯზე; დია კენჭისყრის; მრავალჯერადი ხმის მიცემის; კომისიის წევრთა მიერ ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრის; არჩევნების დღეს შევარდნაძისა და მოქალაქეთა კავშირის სასარგებლო აგიტაციის; ამომრჩეველებზე, დამკვირვებლებზე, საოქლქო და საუბნო კომისიებზე ძალისმიერი და ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან ზეწოლისა

და უხეში ჩარევის; საოქლქო კომისიებში ხმების დათვლის დროს არჩევნების შედეგების გაყალბების; შევარდნაძისა და მოქალაქეთა კავშირისთვის სხვა კანდიდატებისა და პარტიებისთვის მიცემული ხმების მიწერის; როგორც არჩევნების წინ, ისე მისი მსვლელობისას მოსახლეობის ტერორიზების; კანდიდატების მიმართ მუქარის და სხვ.

ანგარიში წარედგინა საერთაშორისო ორგანიზაციებს.

ამ ინფორმაციებზე დაყრდნობით, ჰელსინკის კავშირი აცხადებს:

- არჩევნებში მონაწილეობა მიიღო საქართველოს რეალურად არსებულ ამომრჩეველთა არა უმეტეს 45%-მა, ამდენად, არჩევნები არ ჩატარებულა;
 - არჩევნები არ იყო სამართლიანი, თავისუფალი და დემოკრატიული;
 - არჩევნების შედეგები არ ასახავს საქართველოს მოსახლეობის რეალურ განწყობილებას.
- ვინაიდან პარლამენტად წოდებულმა ორგანომ და პრეზიდენტად წოდებულმა პიროვნებამ კანონდარღვევების, ფალსიფიკაციისა და მოსახლეობის ტერორიზების გზით მითვისა ძალაუფლება, ამდენად, მათ არ გააჩნიათ უფლებამოსილება საქართველოს მთელი მოსახლეობის სახელით მართონ ქვეყანა და არ შეიძლება იქნენ მიწვეული საქართველოს კანონიერ ხელისუფლებად.
- ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ჰელსინკის კავშირი არ ცნობს არსებულ რეჟიმს საქართველოს ხელისუფლებად და კვლავ მტკიცედ დაიცავს მისგან პოლიტიკური შეურთებლობის პოზიციას, გააგრძელებს ბრძოლას კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის.

2 დეკემბერი, 1995

“ქველავარი ბოლშევიკური პეტიციები პითარდებს...”

კიდევ ძალიან სუსტია, მაგრამ აკვირდებიან, ყურს უგდებენ. გარდა ამისა, ზუსტად არავენ იცის, როგორ იქნება რუსეთის მომავალი.

რომ პუტინის სცენარი ჩაიშვებოდა და დაწერილი იყო “კვბ“-ში, მისი ძალეებით იქნა რეალიზებული და ყველა ეს პირები იარაღად იქნენ გამოყენებული.

გამოსატული იყო ბუშის, ბეიკერის განცხადებებში. მათ ერთნაირი ისევე ერთიანი სახელწოდებით, რომელსაც ერთიანი შეიარაღება აქვს, ყველაფერი აკონტროლებს ნათობს, ვიდრე ცალკეული სახელმწიფოები, ცალკეული პრეტენზიებით.

მოიტანს მხოლოდ კანონიერების აღდგენა. ვიდრე საქართველოში არ იქნება აღდგენილი კანონიერება, არავითარ დემოკრატიაზე არ იქნება დასაყრდენი.

TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA) No28 (in brief) 5 - 11 December, 1995

Shevardnadze Buys a Villa in Beykoz Forest Appeal of Georgian Helsinki Union

The Head of the State of Georgia Shevardnadze made an Application for purchasing a villa in Beykoz Settlement Located in Beykoz Saip Mola Forest. As it became known, for one of 400 villas in Beykoz which are located away from the town noise, apart from Shevardnadze applied also the Prime Minister of Georgia Otar Patsatsia. Thus they have reserved two villas. The villas are sold at various prices which vary from \$600 000 to one million dollars.

Georgian Helsinki Union with its regional organizations faithful to the policy of the Union as well as individual members considered it as their duty to undertake all juridical justified actions to fix the violations and provide the real picture of boycotting. In the regions with Helsinki Union Organizations or groups supporting it was worked out respective mechanism which allowed to collect significant information on violations and illegal actions.

"Repressions Are Expected to Get Stronger in Georgia After New Elections"...

Proceeding from the above said, Georgia Helsinki Union does not recognize the existing regime as the authorities of Georgia and will continue to firmly stick to their policy of political reconcilability and struggle for restoration of the lawful authorities.

atment. At the same time, arrested are his brother Mr. Koba Dziridzigi, son-in-law Vazha Tsereteli, as well as Gia Korbesashvili and Zaza Danelia. All five are charged with accusation of attempt to blow up the Vakhushki Bridge, all five separately confessed of being the leader of this terrorist group while interviewed by TV journalists.